ᲙᲘᲜᲝ

N 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1969

572
969/2

ტია, წია, პეპელა და ღელო

ესპა ონიანი

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

სამყურებში ჩაფლული,
ფაფუკ ფრთებგაფაფრული,
ბაღანებში ხედავთ?
თამაშობენ ერთად:
ბატის პუკი ტია
და წიწილა წია.

თავს ევლებათ ნელა
მათ პეპელა ღელა,
მხიარულად მღერის
მოხატული პრელად:
„ვარ პეპელა ღელა,
ვერ დამიჭერთ, ვერა!“

გამოუდგა ტია,
ტიას მიჰყვა წია
და ორივეს უცებ
პირი დარჩა ღია—
თეთრ ყვავილებს შორის
რუ გამოჩნდა შორით.

ტიამ ვაჟკაცურად
ეს რუ გადასცურა,
წია დარჩა მარტო,
რუში გასვლას ნატრობს.

ბედად გაჩნდა ადგო,
რუზე ხიდი გასდგ;
გადავიდა წია,
ტიას დაეწია;
პეპელა კი პრელი
მხიარულად მღერის:
„ვარ პეპელა ღელა,
ვერ დამიჭერთ, ვერა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. რაკეესკი
ნახატები Ი. ლიამინისა



ᲞᲘᲢᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია «ისკრის» მდივანი იყო. ეს გაზეთი ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შექმნა. იგი საზღვარგარეთ იბეჭდებოდა და მალულად შემოჰქონდათ მეფის რუსეთში.

ლონდონში, გაზეთის რედაქციაში, რუსეთის ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები. იწერებოდნენ რევოლუციონერები, მუშები. პასუხს კი ყველას ნადეჟდა კონსტანტინეს ასული უგზავნიდა.

ეს წერილები ერთად რომ შეეკრიბათ, ალბათ ათ ტომარას მაინც გაავსებდა.

ერთხელ ფსკოვის ფოსტაში ჟანდარმს ლონდონიდან გამოგზავნილი წერილი საეჭვოდ მოეჩვენა; ნეტა რას უნდა სწერდნენ უბრალო მუშას ლონდონიდან? ფრთხილად გახსნა ჟანდარმმა წერილი და კითხვას შეუდგა: «ღრმად პატივცემულო პეტრე ევდოკიმეს ძევ, ძალზე სამწუხაროა, მაგრამ გატყობინებთ, თქვენი ძმა, ნიკოლაი ევდოკიმეს ძე, სერიოზულადაა ავად. ექიმებმა დაასკვნეს, რომ აქვს ფილტვების ანთება და საავადმყოფოში დააწვინეს. სიცხე მაღალი აქვს— 39 გრადუსი»...

წაიკითხა ჟანდარმმა და ხელი ჩაიქნია: რაა ამაში საეჭვო? ვიღაც გამხდარა ავად! მერე რა მოხდა. ჟანდარმმა ბრძანა, ისევ ფრთხილად დაეწებებინათ კონვერტი და გაეგზავნათ.

აბა, ჟანდარმმა რა იცოდა, რომ სტრიქონებს შორის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სულ სხვა საიდუმლო წერილს წერდა. საიდუმლო წერილი ისეთი მელნით იყო ნაწერი, რომ არ ჩანდა. მაგრამ თუ ცეცხლზე გაათბობდი, უხილავი სტრიქონებიც გამოჩნდებოდა:

«ცხვირსახოცი გამოართვით ბიძას. ქურქები კი გადაეცით ოსიპს და პეტიას»... ეს ეწერა სტრიქონებს შორის.

ჟანდარმს კიდეც რომ გაეთბო წერილი და წაეკითხა, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა.

რევოლუციონერმა კი იცოდა: «ცხვირსახოცი»—ეს პასპორტი იყო, რომელიც უნდა მიეღო რევოლუციონერ ლიდია კნიპოვიჩისაგან, ზედმეტსახელად „ძიას“ რომ ეძახდნენ.

ქურქები — აკრძალული წიგნები გახლდათ. «გადაეცით ქურქები» კი—ალბათ მიხვდით, აკრ-

ძალული წიგნები გადაეცითო. ოსიპი—ოდესას ნიშნავდა, პეტია—პოლტავას:

და აი, ზის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული შუაღამემდე. წერს საიდუმლო წერილებს. ერთ რევოლუციონერს ურჩევს, სად მოაწყოს საიდუმლო საწყობი «ისკრისთვის», მეორეს—როგორ მოახერხოს ციხიდან გაქცევა, მესამეს—სად იშოვოს ფული საბეჭდი მანქანის საყიდლად.

ღამეა, ყველას სძინავს, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კი წერს და წერს.

ძალზე დაიღალა, კალამი ლამის ხელიდან უვარდება, მაგრამ მაინც წერს. გვიანობამდე ანთია შუქი პატარა ფანჯარაში ლონდონის ერთ-ერთ სახლში.

შორსაა ლონდონი რუსეთიდან... შორსაა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც... მაგრამ რუსი რევოლუციონერებისათვის ეს პატარა ოთახი, სადაც ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ცხოვრობს, მებრძოლი შტაბია,—ისინი ხომ ამ ოთახიდან, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მეშვეობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან.

თარგმნა **ბორის მირცხულავამ**

წვიმა

ლილი გოგებაშვილი

წვიმა მოდის წკარაწკურით,
ჩურჩულებენ ხენი;
— ეს რა წყალი მოწკრიალებს,
შევუშვიროთ ხელი.

წვიმა მოდის, ჩიტუნებმა
შეიკეცეს ფრთები,
წვიმის წყალით პირს იბანენ
წვერცანცარა თხები.

ნახატი **თამურ ჩირინაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებო, თქვენს საყვარელ მწერალს—ილია სიხარულიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. იგი მთელი სიცოცხლე თქვენზე ფიქრობდა, მისი ბევრი ლექსი „დედა-ენაშიც“ არის შეტანილი და ზეპირადაც იცით. აბა, ვის დაავიწყდება „ყინულის ლოლუები“.

— ვიშ, გენაცვალ! ეს რა არის?
— შენი სახურავის კიდეს!
ამოდენა ჩურჩხელები
ნეტავ წუხელ ჩამოჰკიდეს?!

ან კიდევ „ამ პატარას, იმ პატარას“, „ბურთის სიმღერა“, „ზღვა და ლალი“, „მზია, ბუზი და წიწილა“, „გია“...

ილია სიხარულიძე იყო ჟურნალ „დილის“ ახლო მეგობარი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვბეჭდავთ ილია სიხარულიძის ერთ ლექსს.

აგარაკზე

ილია სიხარულიძე

— პატარები მატარებელს
აგარაკზე რატომ მოჰყავს?
— რომ გავსუქდეთ,
რომ გავკაჟდეთ,
დაგვიწითლდეს ყველას ლოყა!

ფიზკულ-ნაძვნარი,
ველ-მინდორი
სიხარულით გვეგებება;
ეზე, ჰაერი, მოვლა, კვება,
ნახეთ, როგორ შეგვეკრება!



ᲛᲐᲛᲐ-ᲫᲕᲘᲡᲘᲡ ᲭᲚᲘᲕᲘᲡᲠᲘ

ᲝᲜᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ
ნახატები ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐᲡᲘ

მეორე დღეს დედა შინ იყო, მაგრამ დაჩიმ ძილის წინ მაინც თქვა:

— ზღაპარი მინდა!

დედას ზღაპრის მოსაყოლად არ ეცალა. მანომ თქვა:

— მე დაია ვარ და გუშინ მოვუყევი. ბაჩო ძმაა, ახლა მან უამბოს. მე შენ გეტყვი და, ზღაპარი არ იცის!

რა ექნა ბაჩოს. მანო გუშინ მართლა მოუყვა დაჩის ზღაპარს. ისიც მართალია, რომ ბაჩო ძმაა და ტყუილი არც ისაა, რომ უამრავი ზღაპარი იცის.

— ჰა, აბა თქვი, რა მოგიყვე!

— დედიკოს ზღაპარი ვიცი,—თქვა დაჩიმ.

— კარგი, მაშინ მამის ზღაპარს მოგიყვები.

— იყო და არა იყო რა, იყო ქალი და კაცი.

— დედიკო და მამიკო?—ჩაერია დაჩი.

— არა,—გაჯავრდა ბაჩო,—ჯერ კიდევ არ იყო დედა და მამა, ისე, უბრალოდ, კაცი და ქალი. კაცი წავიდოდა სანადიროდ, მოიტანდა ნანადირევს. ქალი მწვადებს ააშიშხინებდა, დასხდებოდნენ და მიირთმევდნენ. იციხოდნენ, ზოგჯერ არც კი იყო სასაცილო და მაინც იცინოდნენ. მერე, საქმე რომ არაფერი ჰქონდათ, ისევ მხიარულობდნენ.

ერთხელ წყლის პირას ისხდნენ. სად იყო და სად არა, წყლიდან ეშმაკი ამოვიდა. ეშმაკი არც ისე საშიში იყო, როგორც ხატავენ, მშვენიერი, ხბოსავით ლამაზი რქები ჰქონდა და კუდიც ისე კოხტად აეპრიხა, რომ ქალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კაცმა ბევრი იცინეს.

— რა გაცინებთ? — ეშმაკის უბედურება ისაა, რომ ნერვები ეშლება, როცა ადამიანები მხიარულობენ.

— გასკდი გულზე,—გადაიკისკისა ქალმა,— გვეცინება და ვიცინით.

— წყალში ჩაიხედეთ, დაინახავთ რა გელით და მერე იცინეთ!

ქალი და კაცი ნაპირზე დაწვნენ და წყალს ჩააჩერდნენ. კარგა ხანს უცქირეს თავიანთ თავს, მერე ქალმა წამოიძახა:

— ვაიმე, ეს რა მემართება! ვხედავ, რომ ვბერდები!

— აი, მეც ვხედავ, რომ თმები მითხელდება!

— არ შემიძლია ამის ყურება!—წამოიკივლა ქალმა. წყალში ბელტი ჩააგდო, წყალი აიტალღა და აიმღვრა.

ამის შემდეგ ისინი ისე დაჯავრიანდნენ, აღარ იცინოდნენ და სულ ფიქრობდნენ, რა ექნათ ისეთი, რომ არ დაბერებულიყვნენ.

ერთხელ, კაცმა ორი იმდენი ნანადირევი მოიტანა, ვიდრე სხვა დროს მოჰქონდა და ქალს უთხრა:

— ხვალაც უნდა წავიდე სანადიროდ.

— ხვალ კი არა, ამდენ ნანადირევს ერთ კვირასაც ვერ გავათავებთ.

— არა,—თქვა კაცმა,—რაც მოგვრჩება,— შეინახე, ხვალაც მოვიტან და მონარჩენი ისევ შეინახე. მერე კიდევ და კიდევ. როცა დავბერდებით და ნადირობის თავი აღარ მექნება, დავჯდეთ და ვჭამოთ.

კაცი ყოველდღე დადიოდა სანადიროდ მოჰქონდა ნანადირევი, რაც რჩებოდათ— წვავდნენ და ინახავდნენ.

ერთ დღეს, სად იყო და სად არა, ისევ მოვიდა ეშმაკი.

— არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!—შამფურს ხელი წამოავლო ქალმა.

ეშმაკს შეეშინდა, მაგრამ მწვადებზე სულის შებერვა მოასწრო და მოუსვა.

მწვადები მაშინვე გაფუჭდა, დალპა და მთლად ააყოლა იქაურობა. რა ჯანი იყო, გადაყარეს და კიდევ უფრო დაჯავრიანდნენ.

ერთხელ კაცმა ისევ თქვა:

— მოდი, წყალი მაინც მოვიმარაგოთ. შიმშილი, შიმშილია, წყურვილით მაინც არ დავიხოცოთ.

კაცმა გააკეთა თიხის კოკები, ქვევრები, კასრები. ზიდეს და ზიდეს წყალი. მთლად აავსეს ჭურჭლები, მაგრამ ერთ დღეს ჭურჭლებში წყალი აბუყბუყდა. ქალმა მუგუზალს წამოავლო ხელი და ესროლა, მაგრამ წყალმა მუგუზალი ჩააქრო და ეშმაკმა თავს უშველა.

წყალიც გაფუჭდა და აყოლდა.

— ამ წყლის დალევას წყურვილით სიკვ-

ეროსხელ კაცი სანადიროდ იყო, მოკლა ჯიხვი და შინისაკენ გასწია, რომ წინ ეშმაკი შემოეყარა:

— მე შენ მგბრალები, რაც არ უნდა იყოს, მაინც კაცი ხარ!

— მერე და, მიშველე რამე, ლამის დარდმა შემჭამოს.

— გიშველი, მხოლოდ იცოდე, ქალს არ ასწავლო!—გაფრთხილა ეშმაკმა.—აჰყევი ამ ხეზე შემოხვეულ ვაზს, დაკრიფე ყურძნის მტევნები, ჩაყარე ორმოში და ფეხით დაჭყლიტე.

— ორმოში არ ჩავარი,—იუარა კაცმა. იქვე წაქცეული, ფულუროიანი ხე იპოვა, ამორეცხა და იმაში ჩაყარა. მერე ქალამნები გაიძრო, ფეხი საგულდაგულოდ დაიბანა და ყურძენი დაჭყლიტა. ეშმაკმა ფულუროში ჩაუბერა; აბუყბუყდა, ადუღდა წვენი. ეშმაკმა ჯიხვს რქა წააძრო, აუვსო და დაალევინა. კაცი მაშინვე გამხიარულდა. გააძრო ჯიხვს ტყავი, ჩაასხა შიგ ღვინო. ხორცი იქვე დატოვა. შინ სულ სიმღერ-სიმღერითა და სიცილით მივიდა.

— ნეტა რა ამღერებს?!—გაიკვირვა ქალმა.

— დამავიწყდა!—ატეხა ხარხარი კაცმა.

— რა დაგავიწყდა?!—ჰკითხა ქალმა.

— რომ უნდა დავბერდეთ!

— კი მაგრამ, ხორცი რა უყავი?

— დამავიწყდა.

— რა უნდა ვჭამოთ?!

— რა ვიცი, რა უნდა ვჭამოთ,—აყვირდა კაცი.

კაცს დაბერება რომ არ გახსენებოდა, სულ მთვრალი იყო. ნადირობის მაგიერ ტყეში ყურძენს კრეფდა, ჭყლეტდა და სვამდა. ქალს ხორცი რომ აღარ ჰქონდა, კრეფდა ბალახებს, აკეთებდა მხალს, ჭამდა და, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ კიდევ უფრო დაჯავრიანდა. იფიქრა, დიდხანს იფიქრა და ერთ დღეს ტყიდან დაბრუნებულ ქმარს ისიც გაცინებული დახვდა.

კაცი ახლაც მთვრალი იყო, მაგრამ მაინც გაუკვირდა.

შენ რა ხანია გაცინებული არ მინახიხარ, რა მოხდა?

— დილი სჯობია,—თქვა ქალმა. გადალვარეს ყროლებული წყალი, დასხდნენ და დაიწყეს თავში ხელის ცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გათავდა ჩემი სადარდებელი.

— შენ ხომ დაბერებას დარდობდი?—გაახსენდა კაცს.

—აწი აღარ ვიდარდებ, შენც დაანებე ღვინის სმას თავი, ჩვენ აღარ დავბერდებით!—ისევ გაიცინა ქალმა და საწოლთან მიდგმულ აკვანს საბანი გადახადა.

— ეს რაა?—იკითხა მონადირემ.

— შვილი გავაჩინე.

— შვილი რაა?—იკითხა კაცმა,—იგი ბოლო დროს სულ მთვრალი იყო და ასეთი რამე ფიქრადაც არ მოსვლია.

— შენ რომ დაბერდები, ეს იქნება მონადირე.

— ეს სულ პატარაა,—თქვა კაცმა.

— პატარაა, მაგრამ გაიზრდება და ჩვენ გვემგვანება.

— მე და შენ ერთმანეთს სულ არ ვგავართ,—თქვა კაცმა,—მე შავი თმა მაქვს, შენ—ჩალისფერი.

— შვილს წაბლისფერი თმა ექნება.

— მე ნადირობა ვიცი, შენ—მწვადის შეწვა.

— შვილს ნადირობაც ეცოდინება· და მწვადის შეწვაც.

— ეს რომ გაიზრდება, ჩვენ ბებრები ვიქნებით. ვაითუ, დაგვჯაბნოს და აბუჩად აგვიგდოს.

— ჩვენ ამას ვასწავლით, რომ სიყვარულით მოგვექცეს.

— „ბატონო“ დაგვიძახოს!

— არა, კიდევ უკეთესი; დედა და მამა დაგვიძახოს.

— დედა რა კაცის საქმეა, მე მამა დამიძახოს!

— მე დედას დამიძახებს.

— კი მაგრამ, თვითონ რა ერქმევა?

— კაცი, კაცი ერქმევა.

უკვე სულ გამოფხიზლებული იყო მონადირე, მაგრამ მაინც გაეცინა.

მართლაც ასე მოხდა: შვილი რომ გაიზარდა, კაცს მამას ეძახდა, ქალს—დედას. დედასაც ჰგავდა და მამასაც. ნადირობაც იცოდა და მწვადის შეწვაც.

— რა ჰქენი, არ დაიძინე?—ჰკითხა ბაჩომ დაჩის.

დაჩის ხმა არ გაუღია.

ბაჩო უხმოდ გავიდა ოთახიდან.

ტყის კაკანავალი

ნათელა ფაილოძე

ნახატი გიორგი როინიშვილისა

ხათუნა, თამრიკო და ირინე ერთ საბავშვო ბაღში დადიან. ცხოვრებითაც ერთ ეზოში ცხოვრობენ.

მათი ბაღი წელს ბორჯომის ხეობაში ისვენებს ტყის პირას, მზიან, სუფთა სახლში.

— აუ, რამხელა ნაძვებია!

— რამდენი ყვავილია!

— რა ანკარა მდინარეა!—უკვირთ გოგონებს.

პირველი დღე... მეორე... მესამე... მეოთხე... და ხათუნას, ირინეს, თამრიკოს აღარც ცადაწვდილი ნაძვები აოცებდათ, აღარც ჭრელ-ჭრელი ყვავილები და მოჩხრიალე მდინარე,— შეეჩვივნენ ტყეს, მდინარე ნეძურას ჩხრიალს.

ერთხელ დარეჯან მასწავლებელმა მთელი ჯგუფი წაიყვანა ტყეში:—საკარნავალოდ ჭრელ-ჭრელი ფოთლები და ყვავილები შეეგროვოთო.

ჩიტუნების ჭიკჭიკი და პატარების კისკისი ერთმანეთში ირეოდა.

გოგონებმა ტყეში ბევრი, ძალიან ბევრი ლამაზი ფოთოლი შეაგროვეს. მინდვრის ყვავილე-

ბიც დაკრიფეს... მერე ყველანი ჩრდილში დასხდნენ და გვირგვინების დაწვნას შეუდგნენ.

ხათუნამ ლამაზი გვირგვინი დაწნა. თავზე რომ მოირგო, ყველას მოეწონა. ასეთი გვირგვინის გაკეთება გოგონამ მედეასაც ასწავლა, თინიკოსაც, ნატოსაც და ირინესაც.

დარეჯან მასწავლებლის დახმარებით გოგონებმა ფოთლებისაგან ლამაზი კაბებიც შეაკოწიწეს.

მზის ჩასვლისას, კარგად რომ აგრილდა, საბავშვო ბაღლების ეზო ჟივილ-ხივილითა და სიცილ-კისკისით აივსო. პატარები ტყის კარნავალს აწყობდნენ.

...მწვანე მოლზე ამაყად დასეირნობდნენ «ყვავილების თაიგულები», «ნაძვები», «გვირილები», «ტყის ფერიები»... განსაკუთრებით ხათუნასი და მისი მეგობრების მორთულობა მოეწონათ. «ტყის ფერიებს» ფოთლებისაგან შეკერილი ლამაზი კაბები ეცვათ. თავზე მინდვრის ყვავილების გვირგვინები დაედგათ.

იმ დღეს ლამაზი საკარნავალო კოსტიუმისათვის მასწავლებლისაგან ბევრმა მიიღო საჩუქარი—ფერადი ფანქრები და ტკბილეული... მაგრამ ხათუნას საჩუქარი სულ სხვა იყო—ლამაზი დედოფალა...

იცით რატომ?

— მინდვრის ყვავილებისაგან გვირგვინების გაკეთება დობილებსაც ასწავლაო.—ასე თქვა დარეჯან მასწავლებელმა.

იცინეს და იცინეს

ჯანსუღ ჩარკვიანი

ბაყაყები ყიყინებენ,
კვატკვატებენ კვატები,
ბეკეკები კიკინებენ,
კრუტუნებენ კატები.
კრუალებენ კრუალები,
ციცნათელა ციმციმებს,
ციმორებმა ცას გახედეს,
იცინეს და იცინეს.

კაზუნა კაზუნჯილაო

კატუნა, კატუნჯილაო,
თაგუნა დაგეჭირაო,
თაგუნა სოროს გაგეგცა—
პირ ღია დაგეზჩინაო.

(ცვეტან ანგელოვიდან)

ზაფხული სულ ასე ბრწყინავდეს,
არ გამოგვილევდეს მზიან დღეს,
ქარებმა იცადონ კარებთან,
აბა, რა საქმე გვაქვს ქარებთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა და ფისო

ნუნუ ლაღიძე

კახამ საბძელს ცარცით
თაგვი მიახატა.
ამ დროს იქვე გაჩნდა
გრძელულვაშა კატა.

ფისუნიამ კედელს
ცხვირი მიანარცხა.
ეცინება კახას:
ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

გუდასტვირი

გიორგი წერეთელი

გიგა სტვირით გუდას ბერავს,
გაბერილი გუდა ტირის,
სტვირიც არის,
გუდაც არის
მიტომ ჰქვია გუდასტვირი.

კარუსელზე

ლამარა რუსიშვილი

ეს რა ჟრიამული ისმის,
რა კისკისი, რა სიცილი,
თვითმფრინავზე, რაკეტაზე,
დასკუპულან გია, ლილი.

დათვის გვერდით წითელ რაშზე
შემომჯდარა კოხტად გელა,
დაჰქრიან და თან მღერიან:
— ელი-ელა, ელი-ელა.

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისია, ვისია

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

ღობეში ამოსული მაყვლის ტოტზე ნიავი ნაბდის ქუდს აქანავებდა:

— ვისია, ვისია?

— ყვა, ყვა, ჩემიაო,—დაიჩხავლა კაკლის ტოტზე ჩამოსკუპებულმა ყვანჩალამ.

— არც კი რცხვენია, როგორ ცრუობს!— გაწყრა მაყვალი.

— მაშ, ვისიაო?—იკითხა ალუბალმა.

ისევ ყვავი არატრატდა:

— დილას გზაზე ვიპოვე, ბუდეში ჩასაფენად მიმქონდა და ჩამომივარდა, ახლა უნდა წავიღოო.

—ახლოს არ მოხვალ? ეკლით დაგჩხვლეტ!— დაემუქრა მაყვალი ყვანჩალას და იმანაც ხმა გაკმინდა. მაყვალმა კი აი, რა უამბო ალუბალს:

— გუშინ, საღამოს, ღობის მტვრევის ხმა გავიგონე. ვიფიქრე—გოჯი მოძვრება ბაღის ასაოხრებლად-მეთქი, მაგრამ გოჯი კი არა, გამოტეხილ ღობეში ნაბდისქუდიანი პატარა ბიჭი გამოჩნდა, მოძვრებოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

მივხვდი, საკაიკაცოდ არ იყო მოსული.

— მწიფე ხილით პირის ჩატკბარუნება ენდომებოდა,—შენიშნა ალუბალმა.

— ჰოდა, ვატყობ, საკაიკაცოდ არ მოძვრება.

— ერთი ცხვირში ვერ უკბინე?—ჩაიცინა ალუბალმა.

— მაშ არა და, ტუჩებს მოვუკოცნიდი! ცოტაც ვაცალე და ტოტი ჩავაპარე, მინდოდა ლოყაზე მეკბინა, მაგრამ ლოყამდე ვერ მივწვდი, მაშინ ქუდზე ეკალი გამოვდე და, ჰაიდა. ქუდიანად ტოტი მაღლა ავიქნიე, იმის „კაიბიჭობა“ ყველასთვის რომ მეჩვენებინა.

— მერე, მერე, რა მოხდა?—სწრაფად იკითხა ალუბალმა და ღიმილს ვერ მალავდა.

— რა მოხდა და, ალბათ ეგონა, ქუდი ღობესთან ჩასაფრებულმა ბაღის პატრონმა მომხადაო, შიშით „ვაი დედა“ დაიძახა და ღობეში უკანვე გაძვრა, აქეთ აღარ მოუხედავს ისე მოკურცხლა.

— ახლა რას უზამ მაგ ქუდს?—ჰკითხა მაყვალს ალუბალმა.

— მე მაჩუქებს, მე მაჩუქებს!—დაიჩხავლა ყვავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალმა ყვავს ყურიც არ ათხოვა.

— მოვა ბაღის პატრონი და იმას ჩავბარებ.

— ეჰ, იმ ბიჭს ყურების აწევა არ ასცდება.—შეეცოდა ალუბალს ბიჭი.

— მაშ, რა ვქნა? ქუდს მართლა ყვანჩალას ხომ არ გავატან!

— იცი რა, დაუძახე ნიავს და ქუდი ღობეს იქით გადაჰკიდე. ბიჭი დაინახავს, მოვა და წაიღებს.—ურჩია ალუბალმა მაყვალს.

— ეგ რა კარგი რამე მოიფიქრე. ჰეი, ნიავო!—მოუხმო მაყვალმა ნიავს.

ნიავი მაშინვე იქ გაჩნდა. მაგაზე როგორ დაგზარდებიო, თქვა და ერთი გემრიელად დაუბერა, მაყვლის ტოტი შეაბრუნა და ქუდი ღობეს იქით გადაჰკიდა.

სად იყო და სად არა, ღობესთან დარცხვენილი პატარა ბიჭი გაჩნდა, ქუდი მაყვლის ტოტიდან ჩუმად ჩამოხსნა და შინისაკენ გაიპარა.

იმედგაცრუებულმა ყვავმა ერთი უკმაყოფილოდ დაიჩხავლა და ყრანტალ-ყრანტალით სადღაც გადაიკარგა.

კალიების ყანა

მზია ჩხეიშვილი

ეს რა ყანა გადაშლილა,
ოქროსფერი ყანა,
მწიფე, მწიფე თავთავები
თავდახრილი დგანან.
სამკალ ყანას შესვეიან
კალიები ჯარად,
— ჰოოჰ-უნა, ჰოოჰ-უნა,
აბა, ჩქარა, ჩქარა!—
ოფლს იწმენდენ ხოჯოები,
ნამკალს კრავენ ძნებად,
ბაგრამ დახეთ: ნაბურალზე
თავთავები რჩება.
ცელქმა კურკა-კუტკალიამ
გადასძახა ტოლებს:
— დავტრიალდეთ, ერთ თავთავსაც
ძინდვრად ნუ დავტოვებთ!—
დაფაცურდნენ ხტუნიები,
ასე უნდა გარჯა,
და მინდორში წამლად ერთი
თავთავიც არ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუნელა

ნახატები **დიმიტრი ზარაფიშვილისა**

ოთარ სურგულაძე

ზ ღ ა პ ა რ ი

დიდი სნის წინათ მზემ დაბლა დაიწია და დედამიწას ძალიან დაუახლოვდა. თქვენს მტერს, რა დღეც ფრინველებსა და ცხოველებს დაადგათ. ისეთი სიცხე დაიკიდა, ისეთი, რომ შემწვარი ჩიტები ცვივოდნენ ხიდან. ერთ დილით, ის იყო, მზე მთებზე გადმოდგა და, ატუდა ერთი ამბავი. მოიყარეს თავი ფრინველებმა და ცხოველებმა: მოდით, შეეუტიოთ მზეს, უკან დავახევინოთო!

— ვის შეუძლია შეუტიოს მზეს?

— ვინ აჭერავს ნისკარტს მზეს?

— მე მომანდეთ ეგ საქმე,— თქვა ოფოფმა. გაისწორა ქოჩორი, დაიფერთხა ბუმბული, გაშალა ფრთები და ისარივით აყარდა ზეცით. მაგრამ მზესთან რას გახდებოდა,—მამაცი ოფოფი დაიდუშა.

— ვის შეუძლია შეუტიოს მზეს? — ისევ ატეხეს განგაში ცხოველებმა და ფრინველებმა.

— მე მომანდეთ ეს საქმე,— თქვა თხუნელამ და ფორთხვა-ფორთხვით გასწია მზისაკენ. მაგრამ მზესთან რას გახდებოდა, შეშინდა. ადგა, ცეცხლი გაანთო, გაიტრუსა ზურგი და კვნესა-კვნესით დაბრუნდა თავისიანებთან,— აქაოდა, ნახეთ მზესთან ბრძოლაში რა დღე დამადგაო.

ამასობაში მზე უკვე საშუადღეოზე დადგა.

აიხედეს ფრინველებმა და ცხოველებმა და სიხარულით ცას ეწიენ:

— გაუმარჯოს ჩვენს გმირ თხუნელას, მზეს შეუტია და უკან დაახევინაო!..—ატუდა ერთი ჟრიამული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ირინე უფალაძე

ზაფხულია, როგორ ცხელა,
აგარაკზე მიდის გელა.
მიჰყავს დათვი, სპილო, მელა,
დაისვენებს ერთად ყველა.

ძაღრამ მათი ზეიმი ნაადრევი გაძოდგა,—მეორე დილით მზე ისევ გადმოდგა მთაზე.

— სად არის ჩვენი გმირი თხუნელა?

— თუ გვიშველის, ისევ ის გვიშველის!—გაისმა აქეთ-იქიდან.

— აქა ვარ, აქა!—ამაყად ასწია თავი თხუნელამ.

— დღესაც უნდა შეუტიო მზეს!

თხუნელამ თანხმობის ნიშნად შუბივით გაიშვირა წინ გრძელი დინგი და გზას გაუდგა. ძალულად უკან ჩხიკვი დაადევნეს.

ამჯერადაც იგივე გაიმეორა თხუნელამ. დაბრუნდა თაგვისიანებთან და მორთო საშინელი კვნესა, აქაო და, შემომხედეთ, როგორ დამწვა მზემ, თვალისჩინი წამართვაო. ახლა კი აღარ დაუჯერეს, გაცეცხლებული ფრინველები და ცხოველები გასაწოწკნად მისცვივდნენ.

თხუნელა აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ,—ისე მოეშუვდიათ წრეში, გასაქანი არ ჰქონდა, სად წასულიო, არ იცოდა. ვეღარაფერი რომ ვერ გაახერხა, მიწაში ჩაძვრა და ჩაიმალა.

მას აქეთაა, რომ თხუნელა ფრინველებისა და ცხოველების შიშით ზევით არ ამოდის და სულ მიწაში დაძვრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუკინი

ყვავი და კაჭკაჭი

ერთ ხეზედ ყვავი და კაჭკაჭი ისხდნენ. ჭრელი კაჭკაჭი ხის ტოტებზედ მოუსვენრად დახტოდა და განუწყვეტლივ ჩხაოდა-ყბედობდა. ყვავი კი გაჩუმებული იჯდა. კაჭკაჭმა ჰკითხა: რას გაჩუმებულხარ, ნათლიავ, იქნება არა გჯერა, რასაც მე გიამბობთ?—შენი არაფერი მჯერაო, — უთხრა ყვავმა: ვინც შენსავით ბევრსა ყბედობს, ის ბევრსაცა სტყუისო.

ანდაზა: ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.

ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“

ნოდარ შამანაძე

ახალი კაბა

გამახარა, გამახარა,
გამახარა დეიდამ:
მინახულა ორშაბათს,
კაბის ყიდვას შემპირდა.
მომიტანა სამშაბათს
აბრეშუმი შრიალა,
დედამ დაჭრა ოთხშაბათს,
გულზე მომაბდღვრიალა,
გამასინჯა ხუთშაბათს,
წელმა დამაბზრიალა,
შემიკერა პარასკევს
კოხტა კაბა ფრიალა,
შაბათს უთო გადუსვა,
უფრო გააბზრიალა,
კვირას სტუმრად წამიყვანა,
ქალაქს წამაგრიალა.

ანბანი

ფურცელი ლიტერატურის 8 წლიანი სკოლის
VI კლასის მოსწავლეებმა რიმან ბაბაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარადა

ფოთა ამირანაშვილი

ორი სხვადასხვა რიცხვია,—
ერთი მეორეს ერთვის;
პირველის ბოლო მარცვალი
ზედმეტი არის ჩვენთვის...
ნეტა, რა დროა გასული,
აბა, დახედე, ერთი.



ბატები

გივი ჟიჟინაძე

ფრთათეთრი და ფრთაფარფატი
სერზე მიდის ათი ბატი.
იჩქარიან გზაზე უხმოდ
ნაბურალში სასაუზმოდ.
უკვირთ გიას, თამრეს, ნანას:
— შეხეთ ბატებს?! მწკრივში დგანან!
— მაგ სულელებს,—ამბობს შალვა,—
ასე გაფლა ვინ ასწავლათ?
გაეცინა მასწავლებელს:
— თქვენ გჯობიათ ის ბატები;
თვალს როგორც კი მოგაშორებთ,
აქეთ-იქით იფანტებით.



მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.
სარედაქციო კოლეგია: კუკური გოლეიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა, ეროსან ჟვანიტელიძე (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე.
საქ. ახალგ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური ჟურნალი.
ყდაზე ნახატი თინანიზ სანამრველისა. გამოცემის 42-ე წელი. ტექნიკურ-დაქტორი ბ. როინიშვილი
რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელეფონები. 93-41-30, 93-98-18. | რედაქციაში მეფოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VIII-69 წ. | ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5.
ფასი 20 კაპ.
შეკვ. № 1484. ტირაჟი 131 300. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
«Дила» № 8 на грузинском языке. Типография изд-ва ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა Издательство ЦК КП Грузии



ჩანჩქერი—ნახატი **კოტე სონღულაშვილისა**, 13 წ. თბილისი.

მოცეკვავე გოგონები—ნახატი **მაია თადუმაძისა**, 4 წ. თბილისი.

ჩემი ლურჯა—ნახატი **გოჩა ჩიქვინიძისა**, 5 წ. თბილისი.

დღესასწაულზე—ნახატი **ნანა ხუციშვილისა**, 4 წ. ყაზბეგის რაიონი, სოფ. გერგეტი.

ხუმარა—ნახატი **ზაზა კუპრაშვილისა**, 6 წ. თბილისი.

76055